ოქმი:**ო31. 3123121001**
თარიღი:**02/05/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N6

ქ. ლანჩხუთი

25. 04. 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ეკა გუჯაბიძე, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა საკითხი და მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შ.პ.ს. „ ავტო 2018 - ისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 მარტის N17 განკარგულებაში შეცდომის გასწორების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ეკა გუჯაბიძე/

5. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

6. სხვადასხვა საკითხები

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.

მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შ.პ.ს. „ ავტო 2018 -ისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომა გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით: აღნაგობა; უზუფრუქტი; ქირავნობა; იჯარა; თხოვება; საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმებით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო. პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არა უმეტეს 2 წლის ვადით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა (კანცელარიის ნომერი N 19/302229913 – 30; 26.10.2022 წ) შ.პ.ს. „ ავტო 2018 „-ის (ს/კ 433649741) დირექტორმა დავით გოგუაძემ (მცხოვრები ქ. ლანჩხუთში გოჩა კვირკველიას ქუჩა N 10-ში) რომელშიც

ითხოვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩა N 126-ში მდებარე 51,30 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართიდან (ს/კ 27.06.51.005.01.532) 19,329 კვ.მ.-ის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემას.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა გადაეცეს განმცხადებელს სასყიდლიანი იჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩა N 126-ში მდებარე 51,30 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართიდან (ს/კ 27.06.51.005.01.532) 19,329 კვ.მ-ი. - წლიური საიჯარო ფასის ოდენობად განისაზღვროს 19.329 კვ.მ ფართის ღირებულების - 12 294 ლარი -ის 10% -ით რაც შეადგენს 1 230 ლარს - ხოლო ხელშეკრულების ვადა განისაზღვროს 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N27 (25.04.2023).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომა გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი, მე-2,მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით: აღნაგობა; უზუფრუქტი; ქირავნობა; იჯარა; თხოვება; საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმით.

მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო,მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით,პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონებას უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე, გადასცემს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს 2023 წლის 31 მარტს N 10/302309034 წერილით მომართა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი“-ს (ს/კ 433649359) დირექტორმა დიტო მარშანიშვილმა, რომლითაც მოთხოვნილია ქ. ლანჩხუთში, გორგასლის ქუჩა N 11-ში მდებარე, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 27.06.51.027 (საცურაო აუზი) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით უზუფრუქტით გადაცემა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრ“-ს უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით მისი არსებობის ვადით გადაეცეს ქ. ლანჩხუთში, გორგასლის ქუჩა N 11- შიNმდებარე, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 27.06.51.027 (საცურაო აუზი) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება თავისი ფუნქციების შესასრულებლად.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და

წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომსრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N28 (25.04.2023).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 მარტის N17 განკარგულებაში შეცდომის გასწორების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 მარტის N17 განკარგულებაში ხდება ტექნიკური შეცდომის გასწორება. კერძოდ, განკარგულების მიღების თარიღად ნაცვლად 2022 წლისა, დაფიქსირებულია 2023 წელი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომსრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N29 (25.04.2023).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა **ეკა გუჯაბიძემ.** მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N24 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი matsne.gov.ge, 01/05/2018 წელი, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.112.016360) უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ: დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულება“-ს მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3.

საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოს წევრთა შემადგენლობას და ოდენობას განსაზღვრავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

2. საბჭოს თავმჯდომარეა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი (გადაწყვეტილების მიღების ხმის უფლებით).

3. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც არის სოციალური საკითხების კურატორი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (გადაწყვეტილების მიღების ხმის უფლებით) თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

4. საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს (გადაწყვეტილების მიღების ხმის

უფლებით):

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები;

ე) საბჭოს წევრები სათათბირო ხმის უფლებით არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მინიმუმ სამი წარმომადგენელი;

ვ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „პროგრესის ვექტორის“ წარმომადგენელი.

5. საბჭოს ჰყავს მდივანი, რომელიც არ არის საბჭოს წევრი.

6. საბჭოს სხდომებს ორგანიზებას უწევს საბჭოს მდივანი.

7. საბჭოს მდივანს ნიშნავს და ათავისუფლებს საბჭოს თავმჯდომარე.“

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N30 (25.04.2023).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი:,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომა გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არა უმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონებას უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე, გადასცემს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), მუნიციპალიტეტის დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებს.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **კახაბერ ასკურავა.**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას წერილით მომართა ა(ა)იპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის (ს/ნ 233730763) მენეჯერმა ნატო მენაღარიშვილმა (კანცელარიის N 13/302310166-30 11.04.2023 წ) რომელშიც მოთხოვნილია სამსახურებრივი სარგემბლობისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა RENAULT DUSTER-ის (სახელმწიფო ნომერი BB-309-BP ვინ კოდი VF1HSRC8N48679798 გამოშვების წელი - 2013) გადაცემა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა ა(ა)იპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს (ს/ ნ 23373076) თხოვების ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით მისი არსებობის ვადით გადაეცეს ზემოთ აღნიშნული მოძრავი ქონება.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ ავტომობილის მდგომარეობა უნდა შეაფასოს ექსპერტმა, რომელიც დადებს შესაბამის დასკვნას მისი ვარგისიანობის შესახებ. ასევე, მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნულ ა(ა)იპ-ს გადაეცეს ახალი ავტომანქანა, რადგან თავიდან იქნას აცილებული ზედმეტი ხარჯები.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N31(25.04.2023).

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის **გიორგი იმნაიშვილის** განცხადებით, სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრაზე ახალგაზრდებს დაჰპირდნენ, რომ სოფელში მოეწყობოდა მინი სტადიონი. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, იქნებ გამოიძებნოს შესაბამისი თანხა, რათა ეს დაპირება შესრულდეს.

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა **ეკა გუჯაბიძემ** განმარტა, რომ ამ კუთხით დაწყებულია მუშაობა და სავარაუდოდ, მიმდინარე წლის განმავლობაში ეს საკითხი მოგვარდება.

საკრებულოს წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ დაიწყო ხვნა-თესვის სეზონი. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, თუ იგეგმება რაიმე ღონისძიება ან თუ აქვთ რაიმე ინიციატივა იმასთან დაკავშირებით, რომ მუნიციპალიტეტში არსებობდეს ამხანაგობები, რომელიც ტექნიკით დაეხმარება მოსახლეობის გარკვეულ ფენას ფართობის დამუშავებაში. მან ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში თავის დროზე მოქმედებდა მედიკამენტების თანადაფინანსების პროგრამა, რომელიც ძალიან კარგად მუშაობდა, მაგრამ ვინაიდან სახელმწიფომ აიღო თავის თავზე გარკვეული წამლების დაფინანსება, ეს პროგრამა ამოღებული იქნა, რამაც პრობლემები შეუქმნა ადამიანების იმ კატეგორიას, რომელთაც კონკრეტულ მედიკამენტებს სახელმწიფო არ უფინანსებს, არადა ამ წამლების მიღება მათთვის აუცილებელია და ჩანაცვლებაც რეკომენდებული არაა. იმდენი დაგროვდა ამ მხრივ მომართვიანობა, რომ მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდი ფინანსურად ვერ გასწვდება. საკრებულოს წევრმა მიმართა მუნიციპალიტეტის მესვეურთ, რომ თუ შესაძლებელია, გაიზარდოს სარეზერვო ფონდი ან გატარდეს რაიმე ღონისძიება, რათა დაეხმარონ ამ ადამიანებს. გარდა ამისა, საკრებულოს წევრი დაინტერესდა, თუ რა ხდება საფეხბურთო კლუბ ,,ლანჩხუთის გურია“-სთან დაკავშირებით. ამის შემდეგ, აღნიშნა, რომ სოფელ ჭინათში ქუჩას მიენიჭა პროფესორ თამაზ გოგიჩაიშვილის სახელი, რისთვისაც მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, კოლეგებს და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს გიორგი ხელაძეს, მაგრამ ითხოვა დახმარება იმასთან დაკავშირებით, რომ თამაზ გოგიჩაიშვილის იუბილეს აღსანიშნავად მუნიციპალიტეტის მასშტაბით იგეგმება დიდი ღონისძიების ჩატარება და ათ მაისამდე უნდა მოესწროს ქუჩის ნუმერაციის დასრულება. საკრებულოს წევრი ასევე დაინტერესდა, როდის მოეწყობა ლანჩხუთის ცენტრში მოსაცდელი.

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა **ეკა გუჯაბიძემ** აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის მხრივ მუნიციპალიტეტში უკეთესი მდგომარეობაა. რაც შეეხება მედიკამენტების თანადაფინანსებას, არის წამლების გარკვეული კატეგორია, რომელთა ჩანაცვლება ანალოგიური მედიკამენტით თავისუფლად შეიძლება. ამასთან, სარეზერვო ფონდი რა ოდენობითაც უნდა გაიზარდოს, ამ კუთხით დაფინანსების გაცემა, მისი აზრით, არასწორი პრაქტიკაა. თამაზ გოგიჩაიშვილის იუბილეს აღსანიშნავად ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებით, მერის მოვალეობის შემსრულებელი ამ ეტაპზე არანაირ ინფორმაციას არ ფლობს და თუკი ასეთი იგეგმება, მაშინ დროულად უნდა დაიწყონ მზადება, მით უმეტეს, რომ მაისის თვე ამ მხრივ საკმაოდ გადატვირთულია, რადგან იმართება 26 მაისის აღსანიშნავი ღონისძიება, ასევე, იგეგმება შუხუთში სკრინინგ-ცენტრის გახსნა და სხვ. რაც შეეხება საფეხბურთო კლუბ ,,ლანჩხუთის გურია“-ს, რამდენადაც მისთვისაა ცნობილი, ეყოლება ახალი ხელმძღვანელობა. ლანჩხუთის ცენტრში მოსაცდელის მოწყობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს თემა ინფრასტრუქტურული მიმართულებისაა და მისთვის კონკრეტულად არაა ცნობილი, რა პერიოდში მოგვარდება საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვერიკო კვირკველიამ** ქუჩის ნუმერაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აბრები შეკვეთილია და პროცესი მალე დასრულდება.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს **ალექსანდრე მახათაძეს** უფრო უპრიანად მიაჩნია, მუნიციპალიტეტში კვლავ ამოქმედდეს მედიკამენტების თანადაფინანსების პროგრამა.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ ზაფხულის სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით კვლავ შეიქმნება გარკვეული პრობლემა, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია.

საკრებულოს წევრმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ბაკურის გზა არის საშინელ მდგომარეობაში და ადგილობრივ მოსახლეობას საკუთარ საყანე ფართობებთან მისვლა უწევს სამეგრელოს მხრიდან. როგორც მისთვისაა ცნობილი, ამ კუთხით იგეგმება გარკვეული ღონისძიების გატარება. აქედან გამომდინარე, აინტერესებს, გზა რამდენად იქნება მზად ხვნა-თესვის სამუშაოების დაწყებისთვის. გარდა ამისა, ძალიან ბევრი ფართობი გავერანებულია და მომრავლებულია ველური აკაცია. ამიტომ იქნებ დაეხმარონ კერძო მფლობელებს ტექნიკის მოძიებაში, რათა მოახერხონ მიწის ნაკვეთის გაწმენდა-გასუფთავება.

საკრებულოს წევრმა **ირმა მგელაძემ** თავის მხრივ აღნიშნა, რომ რამდენადაც მისთვის იყო ცნობილი, მოხდებოდა სამშენებლო ნარჩენების გადამუშავება, რითაც მოიხრეშებოდა ბაკურის გზა. მას აინტერესებს, რა ხდება ამ კუთხით, რადგან როგორც გასულ, ასევე მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის მერისგან მიიღო პასუხი, რომ საკითხი მოგვარდება და მიმდინარეობს თანხის მოძიება.

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ რამდენადაც მისთვისაა ცნობილი, მიმდინარე წლის ივნისის თვეში დაიწყება ბაკურის გზის მოწესრიგება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე **გოჩა ჯანაშია** დაინტერესდა, თუ არსებობს რაიმე სამსახური, რომელიც სოფლის მეურნეობის კუთხით აღრიცხავს და გააკეთებს ანალიზს ხვნა-თესვასთან დაკავშირებით არსებულ მდგომარეობასა და პრობლემების შესახებ, რათა მათი გათვალისწინებით მოხდეს მომზადება საგაზაფხულო სამუშაოებისთვის. თუ არადა, გამოიყოს ამ მიმართულებით პიროვნება, რომელიც ასეთ საკითხებს მოაგვარებს. ამის შემდეგ, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ თავის დროზე ფრაქციამ მოითხოვა ინფორმაცია ქირავნობის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების შესახებ, მაგრამ აქამდე არანაირი პასუხი არ მიუღიათ. ქვიანის ბიბლიოთეკა, რომელიც განთავსებულია ამბულატორიის შენობაში, არის საშინელ მდგომარეობაში. კოლეგას დაეთანხმა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ შენობაში მოსაწესრიგებელია იატაკი და ისეთი რაღაცები, რაც რთული მოსაგვარებელი ნამდვილად არ არის.

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკების თემასთან დაკავშირებით ბევრი ინიციატივაა და მიმდინარე წელი ამ მხრივ ძალიან აქტუალურია. ამ კუთხით საკითხები ეტაპობრივად დალაგდება. რაც შეეხება ქირავნობის პროგრამას, რაოდენობასთან დაკავშირებული ინფორმაცია პრობლემას არ წარმოადგენს,

მაგრამ პიროვნებების იდენტიფიცირება პერსონალური მონაცემია და მათი თანხმობის გარეშე ინფორმაციის გაცემა არ შეიძლება.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ ხიდმაღალას სასაფლაოსთან არსებული არხის გაგრძელებაზე მოსაწყობია გაბიონი, რაზეც შემოსულია კოლექტიური განცხადება. გარდა ამისა, სუფსის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია საჭიროებს გაწმენდა-გასუფთავებას არსებული ჯართიდან და ეკალ-ბარდისგან, რის თაობაზეც მუნიციპალიტეტის მერიისგან მიიღო პასუხი, რომ ეს ტერიტორია ეკუთვნის რკინიგზის დეპარტამენტს. ასევე, აუცილებელია იქვე არსებული პარკის შეღობვა-რეაბილიტაცია, რომლის პროექტი „ქართულმა ოცნებამ“ განახორციელა (250 ხელმომწერის საფუძველზე). ამის შემდეგ მადლობა გადაიხადა იმასთან დაკავშირებით, რომ გრიგოლეთში განხორციელდა სახელდება, რაზეც მოსახლეობის მხრიდან შემოსული იყო განცხადება. საკრებულოს წევრმა უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ გრიგოლეთში მოსაცდელის მოწყობის თაობაზე არის თანხმობა როგორც მუნიციპალიტეტის მერის, ასევე, საავტომობილო დეპარტამენტის მხრიდანაც, მაგრამ ამის განხორციელება რატომღაც მაინც ფერხდება. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ უნდა მოხდეს ა(ა)იპ „ონკოქეა ჯორჯიას“ ბენეფიციარების დაფინანსებისთვის თანხის გამოყოფა.

საკრებულოს წევრის **ელისო ჭიჭინაძის** აზრით, საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს შერჩევით სამართალს, რადგან არ შეიძლება ერთნაირ სიტუაციაში ერთ პიროვნებას მიეცეს თანხმობა, მეორეს კი ეთქვას - უარი.

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა **ეკა გუჯაბიძემ** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „ონკოქეა ჯორჯიას“ ბენეფიციარებს შეუძლიათ ისარგებლონ ,,გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ დაფინანსებით და ამ მხრივ არანაირი შეზღუდვა არ არსებობს, მაგრამ სამართლებრივად არ შეიძლება, მუნიციპალიტეტში მოქმედებდეს ორი ერთნაირი პროგრამა.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში აუცილებლად უნდა დაიდგას კტ აპარატი, რადგან არ არის გამორიცხული, რომ მეზობელ მუნიციპალიტეტში მძიმე ავადმყოფების ტრანსპორტირებას, შეიძლება სავალალო შედეგი მოჰყვეს.

საკრებულოს წევრის **ელისო ჭიჭინაძის** განცხადებით, კლინიკის დამფუძნებლის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება აღნიშნული აპარატის დადგმის თაობაზე.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25 აპრილი **2023** წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 00	
2	ემზარ თევდორაძე	12 00	
3	ვერიკო კვირკველია	12 00	
4	გიორგი ჩახვაძე	12 00	
5	გიორგი ხელაძე	11 50	
6	ალექსანდრე მახათაძე	12 00	
7	ზაზა წულაძე	11 50	
8	კარლო კვიტაიშვილი	—	
9	გიორგი იმნაიშვილი	11 55	
10	ია მოქია	11:55	
11	კახაბერ ასკურავა		12 00
12	მაკა მშვიდობაძე	11:55 წთ.	
13	ვლადიმერ ნანაძე	—	
14	კარლო წილოსანი	11:50	
15	ლოლიტა ურუშაძე	11 55	
16	ნინო მშვიდობაძე	11:59	
17	გოგი მორჩილაძე	—	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11-54	
19	გიორგი გოგუაძე	11 45	
20	გოჩა ჯანაშია	11 55	
21	ელისო ჭიჭინაძე	11 50	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	—	
23	კახა თედორაძე	11 55	

24	დარეჯან ბურჭულაძე	11⁰⁰	
25	ირმა მგელაძე	12⁰⁰	
26	გივი ცინცაძე	—	
27	ჯუმბერ ბლაგიძე	12⁰⁰	